საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 ივნისი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 131 (15648)

საკურორტო სეზონი — დიდი საზრუნავი

ჯერ კიდევ ზაფხულის პირველი თვეა. ჩრდილი და სიგრილე სიამოვნებას ჰვრის ადამიანს. გაფურჩქნულია მთა და მდელო, ბუნების სურნელება ამკობს, ალაგაზებს და ამშვენიერებს გარემოს. ერთი სიტყვით, მძლავრად მოაბიჯებს ზაფხული და მოაქვს ბევრი საფიქრალი და საზრუნავი სოფლისა და ქალაქის მშრომელებისათვის.

საქართველოს მრეწველობაში, შენებლობებზე და მის მრავალფეროვან სოფლის მეურნეობაში დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის. სულ უფრო ფართოდ ჩაედება სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

ამ დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში, გრანდიოზულ შრომის პროცესში სულ უფრო მეტი ფიქრი და ზრუნვაა საჭირო იმ ადამიანების, მშრომელთა ფართო მასების ჯანმრთელობის, კეთილი დასვენების უზრუნველყოფისათვის, რომლებიც ქმნიან მატერიალურ და სულიერ ფასეულობას. ამიტომ არის, რომ პარტია, საბჭოთა მთავრობა ამ საქმეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ და ყოველდღე უურადღებას არ აკლებენ კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და საერთოდ გამოჯანსაღებელი ადგილების მშენებლობასა და კეთილმოწყობას.

როგორც ყოველთვის, წელსაც თბილი ამინდების დადგომისთანავე დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა მასობრივი შვებულებები, დასასვენებელი და გამოჯანსაღებელ ადგილებს მიაშურებენ მოსწავლეები, სტუდენტები, ტურისტები, ფართო მასები. საკურორტო ადგილებში, რითაც ახე მდიდარია საქართველოს მთა და ბარი, ზღვისპირეთი, საბჭოთა კანონით მინიჭებული შვებულების გასატარებლად წაველენ ჩვენი მშრომელები.

განსაკუთრებული ორგანიზებულობა და სეზონისათვის მზადება მართებთ საკურორტო ზონის პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა ორგანოებს, ამ დარგის მუშაკებს, რადგან ჩვეულებრივად საქართველოს კურორტებზე ჩამოვლენ ადამიანები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ცხადია, არც ერთ რესპუბლიკას არ ეუოლება იმდენი სტუმარი, რამდენიც საქართველოს. ახლა ისეთი პერიოდი დადგა, რომ ყველა ღონისძიება უნდა განვახორციელოთ, ყველა საშუალება და რეზერვი უნდა გამოვნახოთ, საკურორტო საქმეში დასაქმებული ყველა ადამიანი უნდა ავამოქმედოთ იმისათვის, რომ შეეუქმნათ ჩვენს მშრომელებს დასვენების, გაჯანსაღების კარგი პირობები.

მშრომელთა მომსახურების საქმეში ბასეულ წელს სერიოზული ნაკლოვანებანი იყო. გამართულად ვერ მუშაობდნენ სამკურნალო დაწესებულებები, საწკვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის ობიექტები. ზმირი იყო მშრომელებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტები. დამსვენებელთა მომსახურების საქმეში ბევრი ნაკლი და ხარვეზი იყო აფხაზეთის, აჭარის, ბორჯომის ზონების კურორტებზე, ხაირმეში, ჯაგაში და სხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. საკურორტო სეზონისათვის მზადებაში სერიოზული ნაკლოვანებანია წელსაც. ამ საკითხებზე ამასწინათ მკაცრად იმსჯელა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბევრი ხარვეზია დამსვენებელთა სამკურნალო ადგილების ორგანიზაციის საქმეში. ამ მხრივ ნაკლოვანებებია გუდაუთის სანატორიუმებში — „სტროიტელში“, „ვოლგაში“, „ალაზანში“, სანატორიუმ „ალაზანში“, სანატორიუმ „სურამში“, პანსიონატებში — „მახინჯაურში“, „ქარაშხალაში“, „ფიქვნარში“. ჭეროვან ხამედიცინო მომსახურებას ვერ უწევენ დამსვენებლებს ახალი ათონის საკურორტო პოლიკლინიკაში, წყალტუბოს. ბორჯომის ცალკეულ სანატორიუმებში. ყველა ჯანმრთელობის კერაში როდი იყენებენ სრულად სამკურნალო ფიზიკულტურას, ბევრ სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში აკლიათ ექიმები.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა პროფკავშირთა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიულ საბჭოში. აქ ნაკლები ყურადღება ეთმობა მშრომელებისათვის კარგი დასვენების პირობების შექმნას, უვარგისია ავეჯი, თეთრეული, უწესრიგობაა სახადილოებში, სანატორიუმების ტერიტორიებზე. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელად მუშაობს პროფკავშირთა კურორტების მართვის ქობულეთის ტერიტორიული საბჭოც.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური და ხაოლქო ტერიტორიული საბჭოები მოუქნელად მუშაობენ ჯანმრთელობის კერებში მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საქმეს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სუსტი მუშაობისათვის თანამდებობიდან გაანთავისუფლა კურორტების მართვის წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს თავმჯდომარე ო. ოსნელიანი, სანატორიუმ „სურამის“ მთავარი ექიმი ვ. მოსიძე, „ქობულეთის“ — შ. ბერიძე, „ფერიის“ — ა. ლალიაშვილი, პანსიონატ „მახინჯაურის“ დირექტორი ე. ნიკოლაიშვილი. პრეზიდიუმმა საქართველოს პროფკავშირების კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს პ. ჩიკვილაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მის მოადგილეს ნ. ჭალაგანიძეს, აგრეთვე აფხაზეთის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარეს ზ. აბლაჯს, წყალტუბოს სანატორიუმ „დრუებას“, პანსიონატ „ეოლეკვარას“ მთავარ ექიმებს ო. ამაღლობელს და ვ. ფხაკაძეს, ბაქვინთის პანსიონატების გაერთიანების დირექტორის მოადგილეს დ. ჯიშკარიანს — საყვედური.

რედაქციაში მოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ აბასთუმნის ზოგიერთ სანატორიუმში დაბალ დონეზეა დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურება, ირღვევა შრომის დისციპლინა, ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, სანატორიუმ „ზეკარში“, „ვარძიაში“ და სხვ.

როგორც ჩანს, ჩვენს კურორტებზე ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, საფიქრალი და საზრუნავი. ამიტომ ამთავითვე ფართო და ენერგიული მუშაობა უნდა გაჩაღდეს ყველა ამ აუცილებელი საქმის მოსაგვარებლად, რომლებიც ჩვენს კურორტებზე მშრომელთა და საერთოდ დამსვენებელთა მომსახურებას ეხება. ეს საქმეები ახლა საკურორტო ზონის რაიონებისა და ქალაქების პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ისინი სისტემატიურად უნდა აწყობდნენ მომსახურების სფეროს და საერთოდ კურორტებზე ყველა სახის საბუნებოთა მომდინარეობის შემოწმებას, განიხილავდნენ და წყვეტდნენ საკითხებს იმისათვის, თუ როგორ გამართულად იმუშაონ სანატორიუმებმა, დასასვენებელმა სახლებმა. ჯანმრთელობის ორგანიზაციებმა, მთელი სეზონის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება და კონტროლი დაჰირდება როგორც საკურნალო, ისე საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, რომელთა გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული მშრომელთა დასვენება-მკურნალობის ავკარგი. ამ მიმართულებით არ უნდა გამოვტოვოთ არც ერთი მოუგვარებელი საქმე, არცერთი წვრილმანი საკითხი. ახლავე გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ კაფეების, სასაუზმეების ნორმალურად მუშაობისათვის, მათი მომარაგების უზრუნველყოფისათვის, ინვენტარის შეძენისათვის, კეთილსინდისიერი და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის. არ უნდა დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როცა სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანები ვერ შოულობენ დიეტურ საჭმელებს.

მთელი საკურორტო სეზონის მანძილზე სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ხელმძღვანელობის და საერთოდ გამოჯანსაღებელ ადგილებში მომუშავე სამეურნეო ორგანოების მთელი საქმიანობა, პარტიული, საბჭოთა, სახალხო კონტროლის ორგანოთა მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იყოს სანიმუშო სისუფთავის და წესრიგის დაცვისათვის. ამ მიზნით სისტემატიურად უნდა ეწყობოდეს მომსახურების სფეროს და საერთოდ კურორტებზე ყველა სახის საბუნებოთა მომდინარეობის შემოწმებას, განიხილავდნენ და წყვეტდნენ საკითხებს იმისათვის, თუ როგორ გამართულად იმუშაონ სანატორიუმებმა, დასასვენებელმა სახლებმა. ჯანმრთელობის ორგანიზაციებმა, მთელი სეზონის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება და კონტროლი დაჰირდება როგორც საკურნალო, ისე საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, რომელთა გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული მშრომელთა დასვენება-მკურნალობის ავკარგი. ამ მიმართულებით არ უნდა გამოვტოვოთ არც ერთი მოუგვარებელი საქმე, არცერთი წვრილმანი საკითხი. ახლავე გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ კაფეების, სასაუზმეების ნორმალურად მუშაობისათვის, მათი მომარაგების უზრუნველყოფისათვის, ინვენტარის შეძენისათვის, კეთილსინდისიერი და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის. არ უნდა დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როცა სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანები ვერ შოულობენ დიეტურ საჭმელებს.

ხუთწლედი — ვადამდე!

დროს უსწრებენ

თბილისელმა გვირაბმშენებლებმა 11 დღით ადრე შეასრულეს ხუთი თვის დავალება

□

თბილგვირაბმშენის სამმართველომ 20 მაისისათვის 123 პროცენტით გაანაღდა საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი თვის გეგმა, ხოლო საკუთარი ძალებით — 114 პროცენტით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა № 9 საკვირაო რაზმის (უფროსი გ. ჯაფელი, მთავარი ინჟინერი გ. ციმინტია) კოლექტივმა, რომელმაც 133 პროცენტით გაანაღდა ვალდებულება. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს უბნებმა, რომლებსაც გამოცდილი ინჟინერი ა. გალდავაძე, ო. კუპავა, ა. არჩვაძე, ბ. ლობჟანიძე, ჯ. ზავრადაშვილი და ნ. ზუნუბაია ხელმძღვანელობენ.

კარგი მაჩვენებლებით დამთავრეს გასული ხუთი თვე თბილგვირაბმშენის № 213 სანშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი ს. ჭურაძე, მთავარი ინჟინერი ი. ბერიტაშვილი) და № 5 საგვირაბო რაზმის (უფროსი ა. ყურაშვილი, მთავარი ინჟინერი ა. მაჭავარიანი) კოლექტივებმა.

ჯ. კობიძე.

ვადაზე ადრე

ამბროლაური. (საკ. კორ.). მეათე საგზაო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი შ. ქეგანაშვილი) კოლექტივი, რომელიც ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დამკვრელურ შრომითს ვახტაზე დგას, წარმატებით ანაღდებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მშენებლებმა ვადაზე 16 დღით ადრე უპატაკეს ზნის მშენებლობის მიმდინარე წლის 5 თვის სახელმწიფო დავალების შესრულება. დაამთავრეს და საეკსპლოატაციოდ გადასცეს ახალი ხიდი მდინარე რიონზე, რომელიც რაჭა-ლეჩხუმის საავტომობილო მაგისტრალთან დაკავშირა სოფელი დერჩი. მშენებლებმა დარეკეს 2 კილომეტრი შავსაფარიანი გზა, აიგეს რკინაბეტონის 6 ხანაძერეკი, რომელთა საერთო სიგრძე 63 მეტრს შეადგენს. მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრად დაცვით დაზოგეს 24 კუბური მეტრი ხის მასალა, 25 ტონა ცემენტი და 16 ტონა ბიტუმი.



გამარჯვებულთ — საპატიო წოდება

ჰიათურა. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის შემოღებულია მორალური და მატერიალური წახალისების ბევრი ფორმა. ჰიათურის მარგანეცრესტის მმართველობამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჰიათურის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმმა შეჯიბრების წარჩინებულთათვის ახლახან დააწესეს „ჰიათურის მარგანეცის მრეწველობის შრომის ვეტერანის“ საპატიო წოდება.

დებულებით ეს საპატიო წოდება მიენიჭება მუშას თუ ინჟინერს, რომელიც მადაროში განუწყვეტლად იმუშავებს 20 წელს, არის კომუნისტური შრომის დამკვრელი, გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, გამოირჩევა საზოგადოებრივ საქმიანობაში. დებულება განსაზღვრავს ფერეთელ შრომის ვეტერანის უფლება — მოგალობას. შრომის ვეტერანის წოდების მინიჭება მოხდება მეტალურგის დღესთან დაკავშირებით.

შრომის ვეტერანს მიეცემა მოწმობა და სამახსოვრო ფასიანი ხაზუარი. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს შეჯიბრების ქმედითობას.

მხოლოდ მაღალხარისხოვანი!

ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის ჩაის ფაბრიკაში მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ჩაის პირველი ნედლეული ყველაზე ადრე ნაფიჩხოვის მარჩხის სახელობის კოლმეურნეობამ მიიტანა. მას შემდეგ ფაბრიკაში წუთითაც არ წყდება ბეჯითი შრომა. უწყვეტ ნაკადად მიეგზავნება ნედლეულიდან დატვირთული ავტომანქანები.

ფაბრიკა (დირექტორი ა. ბაბუშ) კარგად მოემზადა სეზონისათვის. წელს ფაბრიკამ უნდა გადაამუშაოს 3.973 ტონა ჩაის ნედლეული. საამისოდ აქ ყველა პირობაა, დღემდე გადამუშავებულია 1.000 ტონაზე მეტი ნედლეული. აოსანიშნავია, რომ კოლმეურნეობებს მოაქვთ მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ფაბრიკის ცვლებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავეთა შორის გამოირჩევა მზა პროდუქციის საამქროს უფროსი ნათელა ქეგინა, რომელიც კეთილსინდისიერად ეკიდება თავის მოვალეობას. ასევე შეიძლება ითქვას უფროს ინჟინერ-ტექნოლოგ ალ. ჯალაღონიაზეც. შრომის კარგ მაგალითს გვიჩვენებს ცვლის უფროსი პაპა შენგელია.

თუ ახლა მანქანა-დანადგარები შეუფერხებლად მუშაობენ, ამაში ზეინკალ მ. თოლორდავას და ელექტრომექანიკოს მ. ჯინჭარაძის დამსახურებაც არის. ეს შრომისმოყვარე სპეციალისტები მუდამ მზად არიან მანქანების ოდნავ დაზიანებისას მიიღონ საჭირო ზომები. მუშები შ. ბაძაღუა, დ. გაბელია, ლ. დრობეკო, ბ. თოლორდავა დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფაბრიკის კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ მომხმარებელს მიაწოდოს მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის პროდუქცია.

ი. ნაჭყებია.

შეჯიბრების მოწინავენი — დეკუტატობის კანდიდატები

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის ხუთი თვის გეგმა. ამ წარმატებაში მოწინავე მბურღავს დალი გაფრინდაშვილსაც უდევს წილი. იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს. ქარხნის კოლექტივმა დალი გაფრინდაშვილი ჭუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

ხურათზე: მოწინავე მბურღავი დალი გაფრინდაშვილი.

ოთხმოცი წელია მიხეილ ხარკოვი სახარატო დაზგასთან დგას. მის მიერ დამზადებული დეტალები ყოველთვის სანიმუშო ხარისხისაა, რუსთავის ამწესამშენებლო ქარხანა რამდენიმე წელია ურეკლამაციოდ მუშაობს. ამ მიღწევაში მიხეილ ხარკოვის წვლილიც არის. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია. გეგმას 120 პროცენტით ასრულებს. ქარხნის კოლექტივმა მიხეილ ხარკოვს დიდი ნდობა გამოუცხადა: იგი რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა.

ხურათზე: მოწინავე ხარატი მიხეილ ხარკოვი.

ბ. ბერსამესა და ა. რუსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ძმური მისალმება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეს დოქტორ ნგუენ ჰიუ ოხოს და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარეს ჰუ�ს ტან ფატს.

დეპეშაში ნათქვამია:

„სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის 4 წლისთავის გამო საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად ჩვენი სახელით მხურვალე ძმურ სალამს გითვლით და გულითადად გილოცავთ თქვენ, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს, საკონსულტაციო საბჭოს, დროებითს რევოლუციურ მთავრობასა და გმირ სამხრეთვიეტნამელ ხალხს.

სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებმა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარიზში ხელმოწერილი შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ ისტორიაში შევა როგორც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი ხალხთა ბრძოლაში თავისუფლებისათვის, ეროვნული სუვერენიტეტისა და სოციალური პროგრესისათვის, როგორც ვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვება, მთელი პლანეტის პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების საბრძოლო სოლიდარობის გამარჯვება.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგული საბჭოთა ადამიანები მტკიცედ იყვნენ და მუდამ იქნებიან ვიეტნამელი პატრიოტების მხარეზე. საბჭოთა ხალხი მთლიანად იწონებს დროებითი რევოლუციური მთავრობის ხალხთა ბრძოლაში თავისუფლებისათვის, ეროვნული სუვერენიტეტისა და სოციალური პროგრესისათვის, როგორც ვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვება, მთელი პლანეტის პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების საბრძოლო სოლიდარობის გამარჯვება.

ჩვენ ვფიცავთ განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს, დროებითს რევოლუციურ მთავრობას და სამხრეთვიეტნამელ ხალხს ასალ წარმატებებს პარიზის შეთანხმების რეალიზაციასა და ეროვნული მისწრაფებების განხორციელებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ ვიეტნამის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და ძმურ სოლიდარობას!

ბელგრადის ჩასვლა

ბელგრადი, 4 ივნისი. (საკ. ინფ.). დღეს ბელგრადში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXVII სესიის მუშაობაში.

აეროდრომზე საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. ზტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და მდივანი ჯ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ფ. პამოუზი, ფედერალური მთავრობის მინისტრები, სხვა ჩეხოსლოვაკიელი წარმომადგენლები.

ბრატისლავა, 4 ივნისი. (საკ. ინფ.). აქ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ დელეგაციები: ბულგარეთისა — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ს. ტოდოროვის მეთაურობით; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ზინდერმანის მეთაურობით; კუბისა — კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ჯ. რ. როდრიგესის მეთაურობით; მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის მეთაურობით; პოლონეთისა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. იაროშევიჩის მეთაურობით; რუმინეთისა — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. გ. მაურერის მეთაურობით; უნგრეთისა — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟ. ფოკის მეთაურობით.

ჩამოვიდა აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის მოადგილე ა. ვრატუშა.

საერანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ქორქ პომპიდუს

დიდად ამაღელვებს სამძიმარმა და მეგობრულმა გრძნობებმა, რომლებიც თქვენ გამოთქვეთ, ბატონო პრეზიდენტო, „ტუ-144“ თვითმფრინავის ტრაგიკული კატასტროფის გამო.

ნება მიბოძეთ საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით ღრმა თანაგრძნობა გამოვთქვა იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა დასახლებული პუნქტის გუსენგილის მცხოვრებლებს.

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გადასცეთ ჩვენი სამძიმარი დაღუპულთა ოჯახებს და გულწრფელი თანაგრძნობა ყველა დაზარალებულს.

ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნის

დიდი და ღრმა მოლოდინარნი შევიტყე, რომ ტრაგიკული კატასტროფა შეემთხვა „ტუ-144“ თვითმფრინავს ბურჟეს საერთაშორისო ხაზოზე.

ფრანგი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით ულრმეს სამძიმარს გიცხადებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო. მთელი საფრანგეთი დამწუხრებულია უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ავიაციასა და მეგობარ სსრ კავშირის ხალხს. დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ ჩემს გულწრფელ თანაგრძნობას გადასცემთ დაზარალებულთა ოჯახებს.

ჟორჟ პომპიდუ.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იღებს ნამუშევრებს 1974 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად. მიღება იწარმოებს 1973 წლის 16 ოქტომბრამდე.

ლენინური პრემიების მოსაპოვებლად შეუძლიათ წარმოადგინონ განსაკუთრებით თვალსაჩინო სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც ახალ მიმართულებებს საზავენ მეცნიერებასა და ტექნიკაში და აღიმატებიან მსოფლიო მიღწევებს ცოდნის ამ დარგში, პრინციპულად ახალი ტექნიკური გადაწყვეტანი, რომლებსაც დიდი წვლილი შეეტანთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში და თავიანთი დონით აღიმატებიან სხვა ქვეყნების მიღწევებს; თვალსაჩინო გამოკვლევანი სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისა და თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

ამავე დროს კომიტეტი იღებს ნამუშევრებს 1974 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. ნამუშევრების მიღება იწარმოებს 1973 წლის 15 დეკემბრამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად შეიძლებოდეს წარმოადგინოთ მეცნიერული გამოკვლევები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში; ნამუშევრები ყველაზე პროგრესული მასალების, მანქანებისა და მექანიზმების შესაქმნელად და სახალხო მეურნეობაში დასანერგად; ახალი დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესები; ნამუშევრები დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების დასანერგად; ორიგინალური და ეკონომიური სამშენებლო და ტექნიკური ნაგებობანი; საფუძვლიანი თეორიული გამოკვლევები სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საკითხებზე.

სამეცნიერო შრომები განსახილველად მიიღება პრესაში გამოქვეყნების შემდეგ, რაც უნდა მოხდეს წარდგენამდე სულ ცოტა ერთი წლით ადრე, ტექნიკისა და წარმოების დარგის ნამუშევრები ეხ სახალხო მეურნეობაში დანერგვის შემდეგ.

ერთი და იგივე ნამუშევრის წარდგენა ერთდროულად ლენინური და სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად არ შეიძლება.

ნამუშევრების წამოყენებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გამო მიმართეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მისამართით: მოსკოვი, კ-51, ნეგლინის ქ. 29/14, ტელ. 295-31-04, 295-09-21.

შეჯიბრება, ძიება

სურათზე: ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის ერთ-ერთი მოწინავე უბნის — მეექვსე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივის წევრთა ჯგუფი (მარცხნიდან) — გამყვანი გ. ბუბაშვილი, ცვლის უფროსი ი. მაჩიტაძე, წმენდითი სანგრევის მუშები ა. გვენეტაძე, ს. ვერულაშვილი, მემატორე შ. გოჩელაშვილი, უბნის უფროსი მ. გვენეტაძე, მნგრეველი გ. ქათამაძე, გამყვანები ა. ყვავაძე და ი. ჩიფიჩაძე.

ს. სოფრომაძის ფოტო.

„საქართველოს ცეცხლფარეშს“ უწოდებენ ტყიბულის უძველეს და რესპუბლიკაში ყველაზე მძლავრ შახტს, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. მისმა კოლექტივმა უკანასკნელი ოთხი წლის განძილზე არ იცის, რა არის ჩამორჩენა. ხუთწლედის მესამე წელს საწარმოს საკოქსე ქვანახშირის მოპოვების დიდი და დაძაბული გეგმა აქვს. იგი მიღწეული საპროექტო სიმძლავრის გადამეტებით 12 ათასი ტონა სათობობის მოპოვებას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, მაღაროელებმა იკისრეს სახელმწიფო დავალების ზევით ამოიღონ 17 ათასი ტონა „შავი ოქრო“, თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება, გეგმასთან შედარებით გაზარდონ 1,4 პროცენტით, ტონა სათობობის თვითღირებულება შეამცირონ 30 კაპიკით და ამ გზით ხუთწლედის ფონდში შეიტანონ 60 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ვალდებულებათა შესრულების საქმეს, სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა წარმოების ავანგარდი, შახტის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ი. ბუაძე), რომელიც 346 კომუნისტს აერთიანებს. კომუნისტთა ინიციატივით ყველა საექსპლოატაციო უბანსა და საამქროში შეიქმნა მეშახტე ნოვატორების, ნორმადარღვევისა და მგეგმავებისაგან შემდგარი ბრიგადები, რომლებმაც დეტალურად შეისწავლეს რეზერვები, მოახდინეს მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური ზაანგარიშებანი და ამ გზით მეშახტეებს დაეხმარნენ გადიდებული კონკრეტული სოციალისტური ვალდებულების შემოქმედებაში, მისი შესრულების გზების გამოძებნაში.

პარტიულმა ორგანიზაციამ მთელ შახტში გააჩაღა გულმოდგინე ორგანიზატორული მუშაობა. საწარმოს აღმინისტრაციასთან ერთად მთავარი ყურადღება მიექცა მატერიალური წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების განაწილებას. მესამე, საექსპლოატაციო უბანი დიდი ხნის განძილზე ჩამორჩებოდა, ვერ ასრულებდა სათობობის მოპოვების სადღეღამისო დავალებებს. აქ უბნის უფროსის თანამდებობაზე დაანიშნეს ახალგაზრდა კომუნისტი ვ. სამაია. ახლად შექმნილ მერვე საექსპლოატაციო უბანს სათავეში ჩაუდგა პარტიის წევრი კ. ჟულაშვილი. მეორე საექსპლოატაციო უბნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. დოლიძემ ამავე უბნის ხელმძღვანელობა თავი. ვენტილაციის ცვლის უფროსი, კომუნისტი რ. გამეზარდაშვილი პირველი უბნის ცვლის უფროსად გადაიყვანეს. ახალგაზრდა კომუნისტი ვ. ფორჩხიძე პასუხსაგებ სამუშაოზე — უბნის მექანიკოსად იქნა დაწინაურებული. მიწისქვეშა სანგრევებში წავიდნენ სამუშაოდ კომუნისტები ბ. კახაძე, გ. გაბრიელიანი, ვ. კიკვიძე, შახტაზე დასაქმებული 27 კომპლექსური ბრიგადიდან 16 ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. ამ 16 საექსპლოატაციო უბანსა და საამქროს, პარტიული ორგანიზაციის 239 წევრი მიწისქვეშ მუშაობს.

ყველა კომუნისტი მეშახტე შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ მაგალითს აჩვენებს. ისინი პირადი გმირობით ალფრთოვანებენ მეშახტეთა მრავალრიცხოვან არმიას. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას მეექვსე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც კომუნისტი მ. გვენეტაძე უდგას სათავეში. განვლილ ოთხნახევარ თვეში უბანმა 3.700 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღო და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება უპატაჟა. პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრის, ცნობილი ნოვატორი მეშახტის ვ. ობოლაძის ბრიგადა ახლა მომავალი წლის აგვისტოს ანგარიშში მუშაობს. ხუთწლედის ორ წელსა და სამ თვეში ბრიგადამ ნორმის ზევით 24 ათას ტონაზე მეტი სათობობი მოანგრია. ქვანახშირის მომავალი წლის ანგარიშში იძლევიან აგრეთვე კომუნისტების ა. ლაფერაძის, ზ. კაპანაძის, ზ. ლოსაბერიძის, ლ. გაბელაშვილის, რ. ჭინკვეტაძის, ა. დათიაშვილისა და ვ. ხაბალოვის მეშახტეთა კომპლექსური ბრიგადები.

პარტიული ბიუროს წევრებმა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის კარგი წესი შემოიღეს. ისინი შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ საწარმოო საკითხებს, ღრმად სწავლობენ როგორც მოწინავეთა გამოცდილებას, ისე შახტის ამა თუ იმ რგოლის ჩამორჩენის მიზეზებს და თუ ამას საქმის ინტერესი მოითხოვს, საკითხის პარტიულ ბიუროს, ან კრების პრინციპული მსჯელობის საგნად აქცევენ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ცუდად იმუშავა სამთო-მოსამზადებელი უბნის კოლექტივმა (უფროსი გ. კობახიძე), აქ არათუ ვალდებულება, არამედ სახელმწიფო გეგმაც ვერ შეასრულეს. უბანში ჩაშალა შახტის განვითარების გენერალური გეგმით გათვალისწინებული 86 საერთო გრძივი მეტრის კაპიტალური სამთო გამონამუშევრების გაყვანის გეგმა. მეტად სერიოზული საფრთხე შეექმნა მიწისქვეშა სამუშაო ფრონტის მომზადებას — ახალი ლავებისა და სანგრევების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემის საქმეს. უბანში მკვეთრად დაეცა გამყვანთა შრომის ნაყოფიერება, თვითეული კრძივი მეტრი გამონამუშევრის გაყვანა 10 მანეთითა და 83 კაპიკით ძვირი ჯდებოდა.

შექმნილი მდგომარეობა პარტიულ ბიუროს მორიგი სხდომის მსჯელობის საგანი გახდა. გარდა უბნის ხელმძღვანელისა, ბიუროზე მოიწვიეს გამყვანები, ისინი, ვინც უშუალოდ სანგრევში მუშაობს, ბევრმა მათგანმა მეტად საქმიანი წინადადება წამოაყენა, რამაც ხელი შეუწყო ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას. ბიუროს დადგენილებით გააძლიერეს გამყვანთა კომპლექსური ბრიგადები, დაიგეგ ცარიელი ვაგონების დასაყენებელი ჩიხი, მექანიზატორებმა შეაკეთეს ფუჭი ქანის თვითმტვირთავი მანქანა, მოიმარაგეს საჭირო სათადარიგო ნაწილები. ვაუმჯობესდა სველი ბურღვა. ამან საქმეს უშველა. გაძლიერდა სამთომოსამზადებელ გამონამუშევართა გაყვანის ტემპი. უბანმა თავი დააღწია ჩამორჩენას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

აქაური მუშახტიები სწრაფად აღიქვამენ ახალს, პროგრესულს, მოწინავეს და ოპერატიულად ნერგავენ წარმოებაში, მაგალითად, შარშან მეორე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა გააჩაღა ბრძოლა თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად. საუბნო პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რეზერვების გამოვლინებას.

კომუნისტებმა პირველი რიგის ამოცანად მიჩნიეს „მეორე მექანიზაციის“ დანერგვა და კიდევაც მიაღწიეს საწადელს. ტყიბულში პირველად დაამონტაჟეს მონორელსი, რომელმაც გააადვილა და დაჩქარა სანგრევებში ხის სამაგრი მასალის მიწოდება. მძიმე ხელით შრომისაგან გამოთავისუფლდნენ წმენდითი სანგრევის წამყვანი მუშები. მეორე მექანიზაციის დანერგვამ შრომის ნაყოფიერება ვეგმასთან შედარებით გაზარდა 11,4 პროცენტით. მეორე უბნელთა პატრიოტებმა თაოსნობამ პარტიული ბიუროს ყველა წევრი დაიინტერესა. გადაწყდა ეს სიახლე ყველა საექსპლოატაციო უბნის კუთვნილებად ექცეთ. ბიუროს თავის სხდომაზე განიხილა მეორე უბნის კოლექტივის ინიციატივის საკითხი, მოიწონა იგი და დასახა ღონისძიებები მის გასავრცელებლად. ახლა ამ სიახლისადმი ინტერესი თანდათან იზრდება.

შახტის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები იმის ცდაში არიან, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბეს ყველა საექსპლოატაციო უბანი, საამქრო, ბრიგადა, რიგითი მეშახტე. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ურთიერთდახმარების, ერთიერთმბილური თვისებების გამომუშაევებს, შეჯიბრების მონაწილე მარტო იმას კი არ ცდილობს, რომ პირადად მოიპოვოს წარმატება და ამით გამოიჩინოს თავი, არამედ თავის მოვალეობად თვლის მეგობრული, საქმიანი დახმარება გაუწიოს მეტოქეს, არ დაუშვას მისი ჩამორჩენა.

— ჩვენ, სოციალისტური შეჯიბრება ისე ვერ წარმოგვიდგენია, თუ არ იქნა საქმიანი ურთიერთდახმარება, — გვეუბნება, საშახტო პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ჭიქაბერიძე. — ვთქვათ, შეჯიბრების მონაწილეს შეუფერხდა საქმე და ესაჭიროება დახმარება. მას, პირველყოვლისა, ხელს უწვდის თავისი მეტოქე, ის, ვისაც ეჯიბრება.

ჩვენ გავიცანით ორი კომუნისტი რ. კიკოლაშვილი და ბ. ჩაფიძე. პირველი მეშვიდე საექსპლოატაციო უბნის უფროსია, მეორე კი მეხუთე უბანს ხელმძღვანელობს. ამ უბნების კოლექტივები წლების განძილზე ერთმანეთს ეჯიბრებიან და თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითს აჩვენებენ.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიულმა მიდგომამ თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ლენინის სახელობის შახტის ურანლზე კვლავაც კიაფობს წითელი ვარსკვლავი — მეშახტეთა შრომითი გამარჯვების სიმბოლო. ეს იმას ნიშნავს, რომ ღრმა მიწისქვეშა ჰორიზონტებზე საქმე კარგად მიდის, სათბობის მოპოვების საღღეღამისო დავალება წარმატებით სრულდება.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

კომუნისტები — შეჯიბრების ავანგარდში

მხოლოდ მოწინავის დონეზე! — ასეთია ლენინის სახელობის შახტის 346 კომუნისტის პირობა

მეშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის

ისტორიულ მოვლენას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიეძღვნა სპეციალური კინოგამოშვება, რომელიც 4 ივნისს გამოვიდა მოსკოვის ეკრანებზე.

ფილმი ასახავს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, მის დიდ პირად წვლილს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობისა და პროგრესის საქმეში.

მაყურებლები ეცნობიან კადრებს, რომლებზეც აღბეჭდილია ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანი საუბრები ფედერალურ კანცლერ ვ. ბრანდტთან, ვიზიტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან გ. ჰაინემანთან. ეკრანზეა შეხვედრები საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, ამხანაგური საუბარი გერმანელთა კომუნისტური პარტიის, დასავლეთ გერმანიის პროფკავშირების ხელმძღვანელებთან.

სურათში ნაჩვენებია სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმებებისა და მხარეთა ერთობლივი განცხადების ხელმოწერა ვიზიტის შედეგების შესახებ, რომლებიც სახავენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კეთილმეზობლური თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს.

შთამბეჭდავია მასობრივი მანიფესტაციის დროს გადაღებული კადრები, რომელიც ბონში მოაწყეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნასთან დაკავშირებით. ამ მანიფესტაციაში, რომელმაც ჩაიარა ლოზუნგით „საბჭოთა კავშირთან მეგობრობისათვის, ევროპის უშიშროებისათვის, ჩვენი ქვეყნის მტკიცე მშვიდობისათვის!“, მონაწილეობდა თითქმის 50 ათასი კაცი.

ფილმი გვიჩვენებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის დიად სასიცოცხლო ძალას, ადასტურებს, თუ რა ხელსაყრელად უპირველს ახლა ცილისწამებით აღვსილ სამყაროში, ეგრეთ პოლიტიკას.

სპეციალური ფერადი გამოშვება „ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში“ შეიქმნა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში. მისი ავტორები არიან ოპერატორები ა. ისტომინი, ი. ფილატოვი.

(საკდესი).

ახალი ამოცანები

ეკონომიკა

გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესია

5 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). ღღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 27-ე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია. მეთვალყურეებად ესწრებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელნი.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესია შეხვალი სიტყვით გახსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, რომელიც გულითადად მიესალმა დელეგაციებს. შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგის საკითხთა განხილვას.

ინფორმაციები

ჩას ნეჩს უსწორეთის ჭრესა

იმასთან დაკავშირებით, რომ პრაღაში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 27-ე სესია, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პრესა ბეჭდავს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობისადმი მიძღვნილ სხვადასხვა მასალას. პოლონეთის „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, რომ მოკლე ხნის განმავლობაში სოციალისტურმა თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ეკონომიური ინტეგრაციის გზით, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ახლანდელი სესია, — წერს „ჟიჩ ვარშავა“, — შეაფასებს სოციალისტური ინტეგრაციის პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და დასახავს აგრეთვე ახალ ამოცანებს,

დასავლეთ ევროპის პრესა ყურადღებას უთმობს „საერთო ბაზრის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ლუქსემბურგის თათბირს. ამ თათბირზე, ფრანგული „ფიგაროს“ თქმით, „მიმდინარეობს ძნელი ძიება ცხრა ქვეყნის საერთო ენისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით“. გაზეთი აღნიშნავს დიდ უთანხმოებებს ერთი მხრივ საფრანგეთსა და მეორე მხრივ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს შორის.

„ვაშინგტონ პოსტი“ ბონიდან იუწყება, რომ დოლარის გადასაცვლელი კურსი დასავლეთ გერმანიის მარკის მიმართ „რეალურად“ დაბალ დონეზე დაეცა“, და აცხადებს, რომ დასავლეთის სამყარო, შესაძლოა, „მიიღოდეს კიდევ ერთი სავალუტო-ფინანსური შერყევისაკენ“.

საზღვარგარეთის პრესა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, მიმმხილველნი აღნიშნავენ, რომ ექვსი წლის განმავლობაში, რაც გავიდა იმ დროიდან, როცა ისრაელმა აგრესიული ომი გააჩაღა ორაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ტელ-ავივის ლიდერთა მთელი საქმიანობა მიმართული იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ყველა ნაბიჯის ჩაშლისაკენ. ისრაელის მიზეზით, წერს პოლონური „ეიჩე ვარშავი“, „ახლო აღმოსავლეთი ღღეს არის მსოფლიოს რაიონი, სადაც ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილი არც ერთი ძირითადი საკითხი, სადაც მშვიდობის პერსპექტივა არც კი დასახული და სადაც ყოველ მომენტში შეიძლება მოხდეს აფეთქება, რომელსაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება“.

სტატიაში „ვინ უშლის ხელს მშვიდობის დამყარებას“ პარიზის „ლუმანიტე“ ამხილებს ისრაელი აგრესორების დანაშაულებრივ მანევრებს, წერს არაბული ქვეყნების პოლიტიკის შესახებ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ისრაელის მფარველი რეაქციული იმპერიალისტური ძალების სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ ზემოქმედებას.

ტოკიოს გაზეთები შეშფოთებას გამოთქვამენ იაპონიის გარშემო საზღვაო წყლების ძლიერ გაჭუჭყიანების გამო. თვეზჩერის ცხრა ზონაში, აღნიშნავენ გაზეთები, თევზი მოწამლულია პოლიქლორბიფენილით: ამასთან დაკავშირებით განზრახულია აიკრძალოს თევზის რეწვა ამ ზონებში. „მაინიჩი“ მონაცემებით, პოლიქლორბიფენილით თევზის მოწამვლის დონე მდინარე ოტიგავის შესართავში დასაშვები სამი ერთეულის ნაცვლად 130 ერთეულს შეადგენს.

(საკდესი, 5 ივნისი).

ინდოეთი

ვალუტის კრიზისი გრძელდება

საკდესის მიმოხილვა

კაპიტალისტურ ხამყაროში ხან ოდნავ შენელდება, ხან კი მკვეთრად იჩენს თავს სავალუტო-ფინანსური კრიზისის შედეგები, რომელსაც განიცდიან დასავლეთის მთავარი ვალუტები, მათ შორის ამერიკის დოლარიც.

რამდენიმე დღის წინათ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი ოქროს ფასის გადიდების შესახებ, რაც მოასწავებს დოლარის ფაქტიურ დევალვაციას 10 პროცენტით. ამით მიეცა საწყისი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც ამა წლის თებერვალში მიიღეს. ლონდონის ვალუტის ბირჟაზე კი ოქროს ფასმა რეკორდულ დონეს მიაღწია, რაც, ინგლისელი ფინანსისტების აზრით, იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს მთავარ სავალუტო-ფინანსურ ცენტრში იზრდება უნდობლობა დოლარის მიმართ.

და კიდევ ერთი ფაქტი: იაპონიის ბანკმა 30 მაისიდან 0,5 პროცენტით გაადიდა სესხის პროცენტი. აიყვანა რა იგი 5,5 წლიურ პროცენტამდე. რათა შეეჩერებინათ ინფლაციის პროცესი, მთავრობის ორგანოებმა და იაპონიის ბანკმა მიმდინარე წლის აპრილში უკვე გაადიდეს სესხის პროცენტი 0,75 პროცენტით, მაგრამ ამ ღონისძიებამ, როგორც ჩანს, საქმეს ვერ უშველა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ აზრით, გონების თვალით მისაწვდომ მომავალში არ არის მოსალოდნელი საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური კრიზისის გადაჭრა. დოლარის კრიზისი კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს, პერიოდულად განმეორდება „ოქროს ციებ-ცხელების“ შეტევა და ოქროს ფასი სულ უფრო გაიზრდება.

სავალუტო-ფინანსურ კრიზისს თან სდევს კვების პროდუქტებისა და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შეუჩერებელი ზრდა, რაც ცხოვრების მნიშვნელოვან გაძვირებას მოასწავებს.

მაგალითად, ინგლისში „ფასების კომისიამ“, რომელიც კონსერვატორთა მთავრობამ შექმნა ეგრეთ წოდებული „ანტიინფლაციური ღონისძიებების“ განსახორციელებლად, მისცა სანქცია ფასების 6-10 პროცენტით მორიგ გადიდებას ქვეყანაში. მარტო ფასებისა და ხელფასის „გაყინვის“ პოლიტიკის შემოღების დროიდან გასული წლის ნოემბრის შემდეგ, წერს ყოველკვირეული „ტრიბუნი“, სურსათის ფასები ინგლისში საშუალოდ თითქმის 14 პროცენტით გაიზარდა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მაისის შუა რიცხვებში ფასების ზრდამ გასული წლის იმავე დროსთან შედარებით შეადგინა 1,8-7,9 პროცენტი. ამასთან ფასების ზრდის ტემპი სულ უფრო მატულობს.

ინფლაციას, ფასებისა და ტარიფების ზრდას მოსდევს მილიონობით მშრომელის ეკონომიური მდგომარეობის შემდგომი სერიოზული გაუარესება კაპიტალის ქვეყნებში.

ბულგარეთი

ბულგარეთის ხალხთა ერთობა

5 ივნისი. (საკდესი). „ეს დიდებული რამ იყო. ახალი სახეწაული ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ ერთხელ ნახო. სამწუხაროა, რომ დრო სწრაფად გადის და უნდა გამოვეთხოვოთ თქვენს განუმეორებელ გამოფენას“.

ასეთია მოკლედ ამერიკელებისა და პრესის ორგანოების გამონათქვამები ფერწერის ნაწარმოებთა გამოფენის „საბჭოთა მუზეუმების საგანძურის“ შესახებ, რომელიც გუშინ დაიხურა ნიუ-იორკში. ამერიკის შეერთებული შტატების კულტურულ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ვან გოგის, მატისის, გოგენის, რენუარის, პიკასოსა და სხვა მხატვრების უკვდავი ტილოების ექსპოზიცია, რომლებიც გამოფენაზე წარმოადგინეს ლენინგრადის ერმიტაჟმა და ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა. გამოფენა ნიუ-იორკში თითქმის ერთი თვეს მეშვიდა. იგი დაფთვალიერა 150 ათასმა კაცმა, სულ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოფენის მუშაობის ორი თვის მანძილზე საბჭოთა მუზეუმების საგანძურს გაეცნო უკვე ნახევარმილიონამდე ამერიკელი.

„უეჭველია, გამოფენა „საბჭოთა მუზეუმების საგანძური“ იყო საუკეთესო, როგორიც კი ოდესმე მოუწყვიათ ნიუ-იორკის კერძო გალერიებში, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჯონ რიჩარდსონმა, „ნიდელერის“ სამხატვრო გალერეის ვიცე-პრეზიდენტმა, სადაც მოწყობილი იყო გამოფენა. — მისმა წარმატებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მთელ 28 დღეს სრული დატვირთვით ვმუშაობდით: დამთვალიერებელთა ნაკადი ერთი წუთითაც არ შემწყდარა. გამოფენის უდიდეს პოპულარობასთან დაკავშირებით ჩვენ დადგენილი გრაფიკიც კი დავარღვიეთ და რამდენიმე დღით გავაგრძელთ ნიუ-იორკში გამოფენის მუშაობის ვადა“, — თქვა რიჩარდსონმა.

„საბჭოთა გამოფენამ ნათელი ფურცელი ჩაწერა ამერიკის შეერთებული შტატების კულტურულ ცხოვრებაში, რომელიც ამ დღეებში მთლიანად ბატონობდა ამერიკის „კულტურულ აცეანაზე“, — ხაზს უსვამს გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“.

ლონდონი

დემოკრატიულობის ნიღაბი

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

5 ივნისი. (საკდესი). ხუნტის რეჟიმი, რომელმაც გააუქმა მონარქია და გამოაცხადა ეგრეთ წოდებული რესპუბლიკა, ცდილობს მოატყუოს ბერძენი ხალხი და საერთაშორისო საზოგადოებრიობა. ხუნტა სპეკულაციას ეწევა ბერძენი ხალხის დემოკრატიული გრძნობებით, რათა ხელი შეუშალოს ანტიდიქტატორული ძალების გაერთიანებას, ნათქვამია საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეგრეთ წოდებული დემოკრატიული გარდაქმნების სახით ხუნტა ესწრაფვის გაახანგრძლივოს მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე რეაქციული წრეების დიქტატურა.

მაგრამ ბერძენ ხალხს, აღნიშნულია განცხადებაში, ვერ მოატყუებ სამხედრო დიქტატურის ამ მანევრებით. ხუნტის რეჟიმი ისეთივე რჩება, როგორიც იყო უწინაც — ტერორისტული, ანტიხალხური, ამერიკელთა მორჩილი.

საბერძნეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს კომუნისტებსა და პატრიოტებს, ყველა პარტიასა და ორგანიზაციას ერთად იბრძოლონ ტერორის, დაპატიმრებისა და წამების შეწყვეტისათვის, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის.

ეგვიპტე

ეგვიპტე-ინგლისი

5 ივნისი. (საკდესი). „ეგვიპტე-ინგლისის ურთიერთობა ბოლო ხანებში ისეთ ეტაპზე მივიდა, როდესაც ორივე ქვეყანა ერთნაირად ინტერესებს ამჟღავნებს ურთიერთობის ნორმალიზაციისადმი“, — ამბობს ინგლისელ ჟურნალისტ ალ. ბეიკერ ბეიკერ ბეიკერ

სიმონ ჩიქოვანის სსოვნას

საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის დაბადების 70 წლისთავი. მისი შემოქმედება საბერთლიანად გახდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საამაყე. სიმონ ჩიქოვანის ლირიკა ქართული პოეზიის ნამდვილი შვენებაა. დიდია პოეტის როლი მოძმე ლიტერატურათა მეგობრობის განმტკიცებაში.

რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, სადაც 4 ივნისს გაიმართა სიმონ ჩიქოვანის ხსოვნის საღამო, შეიკრიბნენ პოეტის ბრწყინვალე ნიჭის თაყვანისმცემლები, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ. სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაზე, მის შესანიშნავ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ძღენტმა.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს და დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ, აზერბაიჯანელმა პოეტმა ნ. ხასან-ზადემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, სომეხმა პოეტმა ვ. ბაბაიანმა, მწერალმა რ. ჯაფარიძემ, კრიტიკოსებმა გ. მარგველაშვილმა, გ. ასათიანმა, გ. კაკაბავამ, პოეტის მშობლიური ობაშის რაიონის წარმომადგენელმა მ. კაკბარავამ.

აღფრთოვანებული სიტყვები წარმოთქვეს ყაბარდო-მალყარეთის სახალხო პოეტმა ყ. ყულიევმა და პოლონელმა სტუმარმა, პოლონურ ენაზე ს. ჩიქოვანის ნაწარმოებთა ერთ-ერთმა მთარგმნელმა პოეტმა ლ. ლეგინმა. საღამოზე წაიკითხეს ნიკოლოზ ტიხონოვის წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

შეკრებილებმა კიდევ ერთხელ ივრძნეს სიმონ ჩიქოვანის შესანიშნავი პოეზიის მშვენიერება და სიდიადე. წამყვანმა ქართველმა მსახიობებმა გ. გეგეჭკორმა, გ. საღარაძემ, ს. ყანჩელმა, მ. ჩახავამ, ს. ჭიაურელმა, ლ. ჭავჭავაძემ და სხვებმა წაიკითხეს სიმონ ჩიქოვანის ლექსები. საღამოზე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ტალუშმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რ. კაკაბაძემ შეასრულეს ს. ჩიქოვანის ლექსებზე დაწერილი ო. თაქთაქიშვილის რომანსები.

საღამოზე გამოვიდა ვოკალური ანსამბლი „ეორდელი“ (საქინფორმი).

სიყვარული მეგობარზე

ნიკოლოზ ტიხონოვი

გულითადად მივესალმები ყველა ძველ მეგობარს, ყველას, ვინც შეიკრიბა ხალოვანი ქართველი პოეტის, შთაგონებული და საყვარელი მეგობრისა და მებრძოლი ამხანაგის — შესანიშნავი ადამიანის სიმონ ჩიქოვანის დაბადების სამოცდაათ წლისთავზე.

ეგი უნიჭიერესი თანამედროვე ლირიკოსი იყო. მისი შემოქმედება, რომელმაც გაამდიდრა საბჭოთა პოეზია, ცნობილი გახდა შორს ჩვენს საშობლოს ფარგლებს გარეთ. მისი პოემა „დავით გურამიშვილი“ შეიძლება მსოფლიო კულტურის ძეგლებს მიეკუთვნოს.

სიმონ ჩიქოვანი საბჭოთა პოეზიის სიამაყე და ღირსება იყო. ეგი მომღერალი იყო მშობლიური მხარისა, ქართველი ხალხის მშვიდობიანი და საბრძოლო ხაგირო საქმეებისა და ამავე დროს. უმღერიდა ხალხთა ლენინურ მეგობრობას, თავის შესანიშნავ ლექსებს უძღვნიდა სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხებს, მშვენივრად გადმოსცემდა საბჭოთა ადამიანების — ახლის მშენებლების გრძნობებს.

მას დიდად აღელვებდა გარდაქმნები, რომლებიც მის მშობლიურ მხარეში მოიტანა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ!

მან მოიარა მშობლიური მხარე, მისი მთები და ველები, და უძღვნა მათ თავისი განუმეორებელი სიმღერების სიტყვა, რომელიც ჩვენ, რუსმა პოეტებმა, ჩვენი ხიყვარულისა და მეგობრობისათვის, ჩვენი ნიჭის კვალობაზე ვთარგმნეთ, რათა იგი ქედრედეს და შედიოდეს ჩვენს საერთო პოეტურ ოჯახში, ამდიდრებდეს მას ახალი მიღწევებით!

ჩვენ ვიგონებთ დღეს ჩვენს მეგობარს — შესანიშნავ ადამიანს, ახალგაზრდა პოეტებისადმი კეთილსა და გულისხმიერს, ლიტერატურისა და ხელოვნების აღტაცებულ მცოდნესა და თაყვანისმცემელს, ვიგონებთ საუბრებს, რომლებიც მასთან გვქონდა, ჩვენს გამოსვლებს ლიტერატურულ კრებებზე და მშვიდობისათვის ბრძოლაში. ყოველივე ამას რომ ვიგონებთ, აქვე არ შეგვიძლია მადლობით არ გავიხსენოთ მისი ერთგული მეგობარი ცხოვრებაში — მშვენიერი მარიკა, პოეტის შთამაგონებელი და თანაშემწე.

ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად მივესალმო ამ შესანიშნავ პოეტურ შეკრებილობას, შემდგარს ძვირფასი სიმონ ჩიქოვანის პატივსაცემად.

ნ. მოსკოვი.

*) ქართველი ხალხის, ქართული კულტურის დიდმა მეგობარმა, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ნიკოლოზ ტიხონოვმა ეს წერილი გამოგზავნა სპეციალურად სიმონ ჩიქოვანის საიუბილეო საღამოზე წასაკითხად.

საპატიო ჯილდოები

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის მოღვაწეებს

5 ივნისს მუშაობა დაამთავრა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის აქტივის სრულიად საკავშირო სემინარმა. საბოლოო სხდომაზე მისი მონაწილეების წინაშე მოხსენებანი „აფრიკის ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე და საბჭოთა კავშირ-აფრიკის ურთიერთობის პერსპექტივები“, „აზიისა და აფრიკის ქვეყნების განვითარების სოციალური პრობლემები“, „აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე და ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცების ამოცანები“ გააკეთეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ი. აღიმოვმა, პროფესორმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ლომ, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ძასოხოვმა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ა. ძასოხოვმა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მოღვაწეთა ჯგუფს გადასცა საბჭოთა კომიტეტის საპატიო მედლები. მედლებით დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზიანი, პროფესორი კ. წერეთელი, დოცენტი შ. კურდღელაშვილი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. კოჭლაშვილი და სხვები.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ავალიანი, მშვიდობის საბჭოთა ფონდის ხელმძღვანელი რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ო. ტაბუცაძე და სხვები. (საქინფორმი).

საკავშირო ტელევიზიის ეკრანზე

„თანამედროვე მეცნიერული-ტექნიკური რევოლუცია და მეცნიერება“ — ამ თემას მიეძღვნა თამბირ-სემინარი, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ათეიზმის კათედრამ. მოხსენება „თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა და რელიგია“ გააკეთა დოცენტმა დ. გეგეშიძემ.

თამბირზე გამოვიდნენ პროფესორი პ. შარია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ნათაძე, დოცენტები გ. სახაროვი, ო. გაბიძაშვილი და სხვები. (საქინფორმი).

ჯილდოები „კიევის გაზაფხულის“ მონაწილეებს

კიევი. (საკადესის კორ.). პირველ სრულიად საკავშირო ფესტივალში „კიევის გაზაფხულში“ აქტიური მონაწილეობისათვის, მშრომელთა შორის საბჭოთა ხელოვნების მიღწევათა პროპაგანდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოკავშირე რესპუბლიკების მთელი რიგი მხატვრული კოლექტივები დაჯილდოვა საპატიო სიგელებით.

დაჯილდოებულთა შორის არიან — ქორეოგრაფიული ანსამბლი — „ბერიოზკა“, საკონცერტო ანსამბლი „კლასიკური ბალეტი“, მოსკოვის კამერული ორკესტრი, ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო ორკესტრი, ბელორუსიის სსრ მოცეკვავეთა ანსამბლი, ლიტვის სსრ სასულე ინსტრუმენტების ორკესტრი „ტრიმიტასი“, ბელორუსიის ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „პესნიარი“, საქართველოს ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დიელო“.

როგორ ემზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის?

დღითიდღე ფართოვდება მზადება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის.

გაცხოველებული მუშაობაა ჩვენთანაც — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 44 საარჩევნო უბანში, რომელიც მოთავსებულია ფ. მახარაძის სახელობის რკინიგზის კლუბის შენობაში. ჩვენი საუბნო საარჩევნო კომისია, მრავალრიცხოვან აქტივთან ერთად, ყველაფერს აკეთებს არჩევნების მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის.

აგიტპუნქტმა (გამგე ა. ვაჩიბერიძე), აგიტატორებმა ფ. ჩხიკვაძემ, ნ. ბუაძემ, ლ. ბოლქვაძემ, ქ. ხომასურიძემ და სხვებმა მოსახლეობაში ფართოდ გაშალეს მუშაობა საბჭოთა კონსტიტუციის, საარჩევნო დებულების გასაცნობად. ისინი მშრომელებს განუმარტავენ ჩვენი ქვეყნის ხაშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრისა და 1973 წლის აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წელი“, აგრეთვე სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საუბნეო ხხდომისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმის მასალებს, ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობას, მოუთხრობენ იმ დიდ მოვლენებსა და გარდაქმნებზე, რომლებიც არჩევნებიდან არჩევნებამდე ამ უკანასკნელი ორი წლის განძილზე მოხდა ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ქ. ქუთაისში.

საარჩევნო უბანში არჩევნებთან უფლებულ ადგილებზე ჩატარებისათვის გავითვალისწინეთ ყველა „წვრილმანიც“ კი. მოგვარებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე, შერჩეულია არიან რეგისტრატორები, განაწილებულია ფუნქციები კომისიის წევრებსა და აქტივს შორის.

სწორედ კარგი ორგანიზატორული მუშაობის შედეგი იქნება ყველა ხმა, რომელსაც 17 ივნისს ერთსულოვნად მისცემენ ამომრჩეველები კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის დირსეულ კანდიდატებს.

შ. რუხაძე,

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 44 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ასე ხვდება ჩვენი უბანი

სათვის მზადებას საინტერესოდ აშუქებს კიდევ ერთი „ამომრჩეველთა ხმა“, რომლის გამოშვებაში აქტიურად მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დ. წკეპლაძე, ნ. ბერიძე, ი. ლალიძე და სხვები. მოიწყო შეხვედრა ახალგაზრდა ამომრჩევლებთან, მაღლობის დირსნი არიან რკინიგზელთა კლუბის თვითმოქმედი კოლექტივები, რომლებიც ხშირად აწყობენ საღამო-კონცერტებს.

დროულად შედგა და თვალსაჩინო ადგილას გამოიკრა ამომრჩეველთა სიები.

ახლა არჩევნებისათვის მზადების ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატობის კანდიდატების ცხოვრებისა და საქმიანობის გაცნობას. ამიტომ განსაკუთრებული ხერიოზულობით მოვემზადეთ შეხვედრების შინაარსიანად ჩატარებისათვის. დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრისას რკინიგზის კვანძის კლუბში შეიკრიბა უბანში შემავალი საქალაქო საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთა უმრავლესობა. ეს შეხვედრა საქმიანად წარიმართა. ამომრჩეველებმა მისცეს განაწესი თავიანთ კანდიდატებს.

არჩევნების უნაკლოდ, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გავითვალისწინეთ ყველა „წვრილმანიც“ კი. მოგვარებულია ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე, შერჩეულია არიან რეგისტრატორები, განაწილებულია ფუნქციები კომისიის წევრებსა და აქტივს შორის.

სწორედ კარგი ორგანიზატორული მუშაობის შედეგი იქნება ყველა ხმა, რომელსაც 17 ივნისს ერთსულოვნად მისცემენ ამომრჩეველები კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის დირსეულ კანდიდატებს.

შ. რუხაძე,

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების № 44 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

დაიდგმება... როდის?

ამ ბოლო დროს ჩვენში ადგილი აქვს ერთ ფრიად არასახარბიელო მოვლენას, რომელიც თითქოს ტრადიციად მკვიდრდება: რომელმე გამოჩენილი ადამიანის იუბილეს დღეებში საზეიმოდ ჩაეყრება საფუძველი იუბილარის ძეგლს, აღმართება დაფა შესაბამისი წარწერით — „აქ დადგმება...“ და ყველაფერი ამით მთავრდება. ის დაფა და წარწერა კი დგას და ღაღადებს როგორც „ხმა უდაბნოსა შინა“. საკმაოდ ბევრია ასე ავსნების სახით დადგმული ლოდები...

მკითხველები ალბათ დაგვთანხმებიან, რომ დავით გურამიშვილის ძეგლმა თავის სათაყვანებელი სამშობლოს დედაქალაქში 2 წელი ვერ იბოვნა ადგილი. ამის ბრალია, რომ დიდი ვეფხის ძეგლი დღესაც ადგილიდან ადგილზე მოგზაურობს, ხოლო მისი ნაწილები უდიერი მოპყრობისაგან დასცდა და დაიბზარა. არავინ აჩქარებულა და „მზეჭაბუკის“ უკვე ჩამოსხმული ძეგლი ერთი წელი ხის ყალიბში „გამომწყვდეის“ სპორტის სასახლის წინ, ვიდრე ფიცარი არ შემოალპა... (თურმე ერთმეტრიან კვარცხლბეკს ელოდა „მზეკაბუკი“): არავინ ჩქარობს, და ამიტომაც არავინ იცის, რა ბედი ელის ნიკო ფიროსმანაშვილის უკვე დამთავრებულ ძეგლს.

სიტყვამ მოიტანა და ჩვენი ხელოვანი ხუროთმოძღვრები რომ არ აჩქარებულიყვნენ, ალბათ არც ეს შესანიშნავი ფილარმონიის დარბაზები გვექნებოდა, არც „ოვერიო“ და არც სპორტის სასახლეები. „არავინ ჩქარობდა“ და ფეხებურთის თბილისელი გულშემატკივრები 5 წელია ელიან ძველი სტადიონის განახლებას...

და, ბოლოს, გვინდა შოთა რუსთაველის ძეგლის ისტორია მოგახსენოთ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რუსთაველის ძეგლის კონკურსი უკვე მოეწყო. სამწუხაროდ, მას შემდეგ იმდენი ხანი გავიდა, რომ მთელი ისტორიის აღდგენა მხოლოდ დოკუმენტების, ოქმებისა და შთაბეჭდილებათა წიგნის მეშვეობით თუ მოხერხდება. მოკლედ, გაიმართა კონკურსი, გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, დაპირისპირდნენ შეხედულებანი... ჩვენმა საზოგადოებრიობამ კი ვერ იქნა და ვერ გაიგო ქიორის ავტორიტეტული აზრი!

ამ პატარა შენიშვნის მიზანი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ერთხელ კიდევ მოგაგონოს შესაბამის ორგანიზაციებს და პიროვნებებს: ვერავითარი ფორმულა ვერ გაამართლებს საშვილიშვილო საქმის. ამგვარ გაჭიანურებას.

დ. თაყაიშვილი.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;

ბ. გურული, ბ. მახარაძე, გ. გელოვანი, რ. თარხან-მოურავი,

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები.

ასეთ ტოპონიმზე

ტოპონიმი ენის ერთ-ერთ ისტორიულ ელემენტად ითვლება. ეს ელემენტი ენის ლექსიკურ ფონდში ენის ყველა ეტაპზე, ენის ყველა ფუნქციურ-სტილურ ფენაში, ენის ყველა ტერიტორიულ-დიალექტურ ფენაში ფუნქციონირებს. ეს ფენომენი

ცხინვალი

ბაგიათის მინერალური სამკურნალო წყალი დიდი პოპულარობით, სარგებლობს სამხრეთ ოსეთში. იგი „საირმის“ ტიპის წყალია და საუკეთესო შედეგებს იძლევა კუჭ-ნაწლავის, განსაკუთრებით კი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისას.

„ბაგიათის“ ქარხანა

მაგრამ წლების განმავლობაში მისი ჩამოსხმა პრიმიტიულად მიმდინარეობდა. ორიოდე წლის წინათ გადაწყდა აშენებულიყო ბაგიათის მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა. და აი სოფელ ვანელში (ჯავის რაიონი) დაიწყო ამ ქარხნის მშენებლობა. იგი მწყობრში ჩადგება მომავალ წელს.

ხელოვნური ტბაზე

აბერ ორი წელია ცხინვალელთა ხაყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა ხელოვნური ტბა, რომელსაც ათობით ჰექტარი უჭირავს საოლქო ცენტრის სამხრეთით.

წელს აქ მნიშვნელოვანი კეთილმოწყობითი სამუშაოები ჩატარდება. უკვე დაიწყო ნაპირების გამწვანება, კეთდება ბავშვთა სათამაშო პატარ-პატარა მოედნები, ეწყობა ფარდულები, შემოქქვთ საცურავი ინვენტარი.

მალე გაიხსნება სასაუზმე, საკვამური ფარდულები, სპორტული ბაზა. წელს ხელოვნურ ტბას ბევრი დამსვენებელი ეყოლება.

„სიმღერ“ გასტროლებზე

სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“ საგასტროლოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც 20 კონცერტს გამართავს, ხოლო შემდეგ ეწვევა გროზნოს, ნალჩიკს, კისლოვოდსკს, პიატიგორსკს, სოჭს, როსტოვსა და სხვა ქალაქებს.

„სიმდის“ განახლებულ საგასტროლო რეპერტუარშია სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

ფრინველის ფაბრიკა

ცხინვალის რაიონის სოფელ ძარწენთან მიმდინარეობს ფრინველის ფაბრიკის მშენებლობა, რომელსაც აწარმოებს სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო. ფაბრიკის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1975 წელს. იგი გათვალისწინებულია 50.000 მოქცეულზე.

ფაბრიკის კონტურები უკვე გამოიკვეთა. მიმდინარეობს საამქრო ნაგებობათა გადახურვა, შიდასაქარხნო გზების გაყვანა და სხვა სამუშაოები.

გაიხსნა კინოთეატრი

ცხინვალში, პუშკინის ქუჩაზე დამთავრდა კინოთეატრის მშენებლობა. იგი 600 მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული. კინოთეატრს აქვს ფართი მოსაცდელი დარბაზი, ოთახები დამსმარე ობიექტებისათვის, გამწვანებული ეზო.

ახალი უნივერმაღი

ცხინვალში ბოლო ხანებში ბევრი ახალი საკვამური ობიექტი ჩაფდა მწყობრში. მათ შორის არის დიდი უნივერსალური სახურსათო მაღაზია, რომელიც მომსახურებას გაუწევს ქალაქის ერთ-ერთ საცხოვრებელ მასივს — ლუდის ქარხნის რაიონს.

ექიმი, მეცნიერი

კროფესორ მეენონ კანდელაკის დაბადების 75 წლისთავის გამო

მას არ უძებნია დიდება და სახელი, მაგრამ შრომამ, მუყაითმა, ენერგიულმა შრომამ, ბავშვობიდანვე თანაყოლილმა ოცნებამ, ექიმის პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და მისი ღრმად დაუფლებისადმი სწრაფვამ, საკმისადმი თავდადებამ და ერგიულებამ მოუტანა მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი ადამიანისა და პედაგოგ-აღზრდელის სახელი. სწორედ ამ გზით ვახლა იგი საბჭოთა მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგე.

იგი დაიბადა 1897 წელს ქუთაისის მაზრაში, სოფელ ნაბოსლევში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც იმ დროს ასწავლიდა გამოჩენილი პედაგოგი-აღმზრდელი იოსებ ოცხელი. 1918 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასლადგახსნილ სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1924 წელს წარჩინებით დაამთავრა, მიიღო ექიმის საგზური და უმალვე გაემგზავრა მარნეულის რაიონში (ყოფილ ყარაიაზში). იმ დროს იქ მალარია მძვინვარებდა და სათავეში უდგა სამალარიო სადგური.

ძნელი იყო ახალგაზრდა სპეციალისტისათვის ამ დაუნდობელ სენთან გამკლავება, მაგრამ იგი რის მკურნალი ექიმი იყო, თუ ხალხს ვერაფერს ვერ უშველიდა.

1926-27 წლებში მ. კანდელაკი ვადის კლინიკურ ორდინატურას პოსპიტალური თერაპიის კლინიკაში პროფესორ ს. ვირსალაძესთან, რის შემდეგ (1928-29 წლებში) მუშაობას იწყებს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში. სწორედ აქ ვლინდება მისი მისწრაფება მედიცინის საიდუმლოებათა ღრმად ჩაწვდომისა, მისწრაფება მედიცინის მეცნიერების ფართო ჰორიზონტით დაუფლებისა.

1930 წელს მ. კანდელაკს ირჩევენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო თერაპიის ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1941 წელს ქ. ლენინგრადში იცავს დისერტაციას თემაზე „პერიპლოგინის ფარმაკოლოგიური დახასიათება“ და ენიჭება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სარანსი.

1941-42 წლებში მ. კანდელაკი განაგებს სამედიცინო ინსტიტუტის პროპედევტიკული თერაპიის კათედრას, ხოლო 1943 წლიდან — ინფექციურ სნეულებათა კათედრას.

სამამულო ომის პერიოდში მ. კანდელაკი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დიდ დასმარებას უწევს თბილისის ევაკოჰოსპიტლებს როგორც კონსულტანტი და მეცნიერული ხელმძღვანელი.

1954 წელს მ. კანდელაკს ირჩევენ სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის გამგედ, ხოლო 1957 წლიდან ამავე ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგედ, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა.

1972 წელს შეწყდა მეცნიერის გულის ფეთქვა, გულისა, რომელიც მთლიანად მშობლიურ ქვეყანას და ხალხს ეკუთვნოდა. იგი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე ერთგული ჯარისკაცის სიკვდილით დაეცა.

ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწიან, სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს.

გ. კვიტაშვილი,
დ. სვანიძე.
პროფესორები



როგორ ვიცოცხლოთ დიდხანს

□ ფიზიკური მოძრაობა □ ზომიერი კვება
□ ცხოვრების ნორმალური რეჟიმი

ბეჭდავს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი
დ. თ. ჩებოტარიოვი.

ჩვენი ინტერვიუ

, თბილისში მუშაობა დაამთავრა ხანდაზმულთა კლინიკური და სოციალურ-პიგიენური გამოკვლევებისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტმა და რესპუბლიკის გერონტოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებამ.

კონფერენციის მუშაობაში რუს, უკრაინელ, ქართველ გერონტოლოგთა გარდა მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების მეცნიერებმა. სულ კონფერენციაზე მოსმენილ იქნა კლინიკური და სოციალურ-ჰიგიენური შინაარსის 30 მოხსენება.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ლ. ხუბულური შეხვდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს დ. თ. ჩებოტარიოვს და სთხოვა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოეთხრო გერონტოლოგიის დარგში მიღწეულ წარმატებებზე.

გთავაზობთ აკადემიკოს ჩებოტარიოვის საუბარს.

— **სასიამოვნოა** აღინიშნოს, რომ გერონტოლოგიური კვლევა ჩვენში სულ უფრო ფართო სახეათს იღებს. მეცნიერებს აინტერესებთ შეისწავლონ ღრმად მოხუცთა კლინიკური და სოციალურ-ჰიგიენური ცხოვრების პირობები, რათა ხანგრძლივების საიდუმლოებას. გერონტოლოგიური კვლევისათვის კავშირის მასშტაბით არსებობს სპეციალური ინსტიტუტები, ხანგრძლივობები, ლაბორატორიები, პოლიკლინიკები, სადაც წარმოება დიდი მეცნიერული მუშაობა, ეწყობა კონფერენციები, სიმპოზიუმები. მეცნიერთა ასეთ ფორუმებზე ხდება კვლევის ამა თუ იმ დარგში მიღწეული წარმატებების განხილვა. ერთ-ერთი ასეთი კონფერენცია გაიმართა თბილისში, რომელიც იმით იყო აღსანიშნავი, რომ ამ კონფერენციაზე განიხილავდნენ მხოლოდ ხანდაზმულთა (90 და მეტი წლის) ჯანმრთელობის საკითხს. კონფერენციაზე მოვიხმინეთ ბევრი საუბარი დღეში მოხსენება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გერონტოლოგიური კვლევა მაღალ დონეზე დგას. უკრაინის გერონტოლოგიური ინსტიტუტის შემდეგ, რომელიც ევროპაში გერონტოლოგიური კვლევის ცენტრად ითვლება, ქართველ გერონტოლოგებს მეორე ადგილი უჭირავთ.

ქართველი მეცნიერები ამ მიღწევებს იმასაც უნდა უმადლოდნენ, რომ თვით საქართველო წარმოადგენს ხანდაზმულთა ქვეყანას. საინტერესო კვლევითი მუშაობა წარმოებს საქართველოს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში პროფესორ ნოდარ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ეს ინსტიტუტი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ინსტიტუტში დიდი უურადღება ეთმობა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. დღესდღეობით მსოფლიოს მასშტაბით გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობას პირველი ადგილი უჭირავს. იმ დაავადებებში შედის ათეროსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადებები, რომლებიც ადამიანის მტერია განსაკუთრებით მისი ხიცოცხლის მეორე ნახევარში.

ბიოლოგიურად დადგენილია, რომ ადამიანის ხიცოცხლის საშუალო ასაკად ითვლება 90-100 წელი. მაგრამ ყველა ცოცხლობს ამ ასაკამდე? ამჟამად ჩვენი პლანეტის ყველაზე უხუცეს ადამიანად ითვლება აზერბაიჯანელი შირალი მისლიმოვი, რომელსაც 168 წელი შეუსრულდა. ბევრი 100 წელზე მეტი ხნის ადამიანი ცხოვრობს საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში, მაგრამ საშუალოდ ადამიანები მაინც 70-80 წლამდე ცოცხლობენ. ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ, რატომ ხდება, რომ ადამიანები ველარ ცოცხლობენ კიდევ სულ რაღაც 20-30 წელს?

ბევრ შემთხვევაში, კლიმატური, სოციალური პირობები რომ გამოვრიცხოთ, ამაში ბრალი თვით ადამიანებს მიუძღვით.

ცხოვრების განვითარებამ, ჭალაჭად და სოფლად სამუშაო პროცესების ავტომატიზაციამ, ფიზიკური შრომა უკანასკნელ 10 წელიწადში 100-ჯერ შეამცირა, ამავე დროს ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ გამოიწვია ის, რომ ადამიანს ნაკლებად უხდება ფიზიკური მოძრაობა. უმოძრაობა კი ადამიანის ჯანმრთელობის მტერია. ადამიანები, რომლებიც გონებრივ შრომას ეწევიან, ხელოვნურად უნდა იქნნენ აქტიური მოძრაობის პირობებს. ეს იქნება ფიზიკური ვარჯიში, ფეხით სიარული, ტურიზმი თუ სხვ.

ამავე დროს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრების ნორმალურ რეჟიმს, ნორმალურ კვებას, ნერვული სისტემის სიმშვიდეს.

ერთი სიტყვით, სიცოცხლის გახანგრძლივება თვით ადამიანთა ხელშია!



ᲥᲝᲜᲓᲘᲡ რაიონის ციხისძირის ტურისტული ბაზა საქართველოში ერთ-ერთი მოწონაგა და კეთილმოწყობილია და მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს. ნ ათასამდე ტურისტი ეწვევა წელს ციხისძირს. აქეამად აქ ისვენებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები. შინაარსიანად ატარებენ დღეებს ტურბაზის დამსვენებლები. ახლინ აწყობენ სამდღიან ტურისტულ ლაშქრობებს, ეწინობიან ავტონომიური რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, ბანაობენ ზღვაში და სხვ.

სურათზე: დამსვენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) მემანქანე კეშერიოვის ოლქიდან თამარ ბელოუსოვა, ლაბორატორიანტი რიაზანიდან ნინა სმირნოვა და მეედდ კრასნოიარსკიდან ლიუდმილა პოლულუკოვა.

მ. ნანიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲖᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐᲜ

გრიგოლ ჩიქოვანის
რომანი „თებერვალი დადგა“ „რომან-გაზეტას“ სერიით

გრიგოლ ჩიქოვანის რომანს „თებერვალი დადგა“ (1971 წ. გამომცემლობა „მერანი“), რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რუსეთის ბოლშევიკურ ბოლშევიკურ ... ...